

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა“, №154, 17.08.2005 წ. გვ. 8-10) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

ა) მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემდეგი ფორმებით:

- ა) აღნაგობა;
- ბ) უზუფრუქტი;
- გ) ქირავნობა;
- დ) იჯარა;
- ე) თხოვება;

ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ფორმებით ქონება შეიძლება გადაცემული იქნას სარგებლობაში სასყიდლით (სასყიდლიანი აღნაგობა, სასყიდლიანი უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა) ან უსასყიდლოდ (აღნაგობა, უსასყიდლო უზუფრუქტი, თხოვება), რის თაობაზეც გადაწყვეტილებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ღებულობს მთავრობის თავმჯდომარე ან სამინისტრო. სამინისტროს მიერ გადაწყვეტილება მიიღება იმ სამინისტროებთან, ორგანოებთან და/ან დაწესებულებებთან შეთანხმებით, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფება გადასაცემი ქონება. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევებში ქონების გადაცემის საკითხს წყვეტს მთავრობის თავმჯდომარე.“

ბ) მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქონება სასყიდლიანი აღნაგობის, სასყიდლიანი უზუფრუქტის, ქირავნობის, იჯარის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით გაიცემა კონკურსის ან აუქციონის წესით.“.

გ) მე-14 მუხლი 1-ლი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> პუნქტი:

„1<sup>1</sup>. ქონების სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით გადაცემა ითვალისწინებს ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემას კონკურსის ან აუქციონის წესით.“.

დ) მე-14 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტითა და თხოვების ფორმით ქონების გადაცემა ითვალისწინებს შესაბამისი განაცხადის საფუძველზე ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლების კონკურსის ან აუქციონის წესის გარეშე მინიჭებას ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ პირებზე.“

7. ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმით სამინისტროს მიერ კონკურსის ან აუქციონის გარეშე შეიძლება გადაეცეთ:

ა) საქართველოს სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებს, გარდა მე-13 მუხლის მე-4 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებსა და მათ მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს;

გ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს;

დ) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას.

8. მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე კონკურსის ან აუქციონის გარეშე სარგებლობაში გაცეს ქონება ამ კანონით გათვალისწინებული ფორმებით.“.

ე) მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქონების სასყიდლიანი აღნაგობის, სასყიდლიანი უზუფრუქტის, ქირავნობის ან იჯარის ფორმით გადაცემისას ქირის ოდენობა დგინდება სა-

მინისტროს მიერ, ქირის სახით მიღებული შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილება და შემდგომში მისი გამოყენება ხორციელდება საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.“.

## მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,

2008 წლის ---- დეკემბერი

№----- უ.ს.გ.ს.